პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 13 (6078) 18 იანვარი. ოთხშაბათი 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქტესის ცნობა

•

# კოსმონავტები ჯანიბეკოვი და მაკაროვი დედამიწაზე დაბრუნდნენ

### „სალუტ-6" — „სოიუზ-27" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი ფრენას განაგრძობს

1978 წლის 16 იანვარს „სალუტ-6" — „სოიუზ-26" — „სოიუზ-27" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში დაგეგმილი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი და ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი, როგორც ფრენის პროგრამით იყო გათვალისწინებული, დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სალუტ-6" ორბიტულ სადგურში მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ამხანაგები იური ვიქტორის ძე რომანენკო და გიორგი მიხეილის ძე გრეჩკო.

„სოიუზ-26" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დასავლეთ რაიონში ქალაქ ცელინოგრადის დასავლეთით 310 კილომეტრზე.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

გაანგარიშებულ დროში „სოიუზ-26" კოსმოსური ხომალდი განპირაპირდა „სალუტ-6" — „სოიუზ-27" ორბიტული კომპლექსისაგან. პროგრამის შესაბამისად მოხდა ხომალდის დამუხრუჭება და მისი ნაკვეთურების განცალკევება. დასაშვები აპარატის მართული ფრენის შემდეგ ატმოსფეროში ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა. უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილი დაჯდომის ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა დედამიწაზე.

„სოიუზ-26" ხომალდის დასაშვები აპარატით დედამიწაზე ჩამოტანილია მასალები, რომლებშიც მოცემულია იმ გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე სრულდებოდა „სალუტ-6" ორბიტული სადგურის ფრენის დროს.

უნიკალური კოსმოსური ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა. კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად ხუთი დღის მანძილზე „სალუტ-6" სადგურში ერთდროულად მუშაობდა „სოიუზ-26" და „სოიუზ-27" ორი კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი: კოსმონავტები ი. ვ. რომანენკო და გ. მ. გრეჩკო, ვ. ა. ჯანიბეკოვი და ო. გ. მაკაროვი. ამ ხნის მანძილზე ოთხმა კოსმონავტმა შეასრულა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, მათ შორის საბჭოთა კავშირ — საფრანგეთის ბიოლოგიური ექსპერიმენტი „ციტოსი". წარმატებით განხორციელდა იმ რთული ორბიტული კომპლექსის მოძრაობის მართვის მეთოდების დახვეწა, რომელშიც შედიოდა მეორე თაობის პილოტირებული სამეცნიერო სადგური და ორი კოსმოსური ხომალდი.

„სალუტ-6" — „სოიუზ-26" — „სოიუზ-27" საბჭოთა პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია შესაცვლელ ეკიპაჟებიანი მუდმივმოქმედი პილოტირებული ორბიტული სადგურების შექმნის გზაზე.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი დიდი მიღწევა მკაფიოდ მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მეცნიერების ინტერესებისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისთვის კოსმოსური ტექნიკის გამოსაყენებლად კვლევის შემდგომი გაფართოების შესახებ.

**ცელინოგრადი**, 16 იანვარი (საქტესის კორესპონდენტი ო. ერკიმბაევი). „სოიუზ-26" დღეს რბილად დაეშვა საბჭოთა მეურნეობა „იშიმსკის" დათოვლილ მინდორზე. კოსმონავტები გამოვიდნენ დასაშვები აპარატიდან და სიამოვნებით შეისუნთქეს ცივი ჰაერი.

მათ შესახვედრად უკვე მიიჩქაროდნენ მექანიზატორები, რომლებიც მინდორში თოვლშეკავების სამუშაოზე იყვნენ. ვლადიმერ ჯანიბეკოვსა და ოლეგ მაკაროვს პირველმა ჩამოართვა ხელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბრალ ნურტაზინმა.

კოსმონავტებმა მადლობა გადაუხადეს მიწათმოქმედებს გულითადი შეხვედრისთვის.

— მე და ოლეგი მზად ვართ შევასრულოთ სამშობლოს ახალი პასუხსაგები დავალება, — განაცხადა ვლადიმერ ჯანიბეკოვმა.



## ჭადრაკი

**კაპსუკასი** (ლიტვა), 17 იანვარი (დეპეშით, **ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატებში შედგა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

დიდ ინტერესს იწვევდა ქ. მელაშვილის გადადებული პარტიის დაბოლოება გოგონათა შორის სსრ კავშირის 1975 წლის ჩემპიონ ნ. რუჩიევასთან (სევასტოპოლი). შეწყვეტილ პოზიციაში ქართველ მოჭადრაკეს მცირე უპირატესობა ჰქონდა. თამაშის განახლებისას მელაშვილმა ზუსტი მანევრებით მოიგო პარტია.

### ნახევარი ქულაც ჰყოფნის

ამრიგად, დასკვნით, IX ტურის წინ ლიდერებს ქ. მელაშვილსა და ე. სტუპინას (მიჩურინსკი) 6,5-6,5 ქულა აქვთ. დასკვნით პარტიაში ქ. მელაშვილის მეტოქეა პეტროვა (ყაზახეთი), სტუპინასი კი — ნ. მელაშვილი.

ზ. აზმაიფარაშვილს, რომელიც 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ჭაბუკთა ჩემპიონატში, ოქროს მედლის მოსაპოვებლად ნახევარი ქულაც ჰყოფნის. IX ტურში იგი შავებით ეთამაშება მოსკოველ აზოვს.

**ვ. არნშტეინი.**

## საუკეთესონი აჭარაში

**აჭარის** ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით დაასახელა ხუთი საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი. სპორტსმენთა საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, განთიადელი **ი. ომელჩენკო** (ცურვა), დინამოელი **რ. სიხარულიძე** (სახანძრო გამოყენებითი სპორტი), სპარტაკელი **ს. სარხოიანი** (მაგიდის ჩოგბურთი), ვოდნიკელი სპორტის ოსტატი **ი. ბოგაჩოვი** (საიალქნო სპორტი) და დინამოელი **ხ. წუწუნავა** (ფეხბურთელი).

საუკეთესო მწვრთნელთა ხუთეულში შევიდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები **ვ. იუხნევიჩი** (ცურვა), **ლ. ვერულიძე** (ფეხბურთი), **კ. გუგუშვილი** (მაგიდის ჩოგბურთი), მწვრთნელები **ვ. კალფა** (საიალქნო სპორტი) და **ა. შოუა** (მშვილდოსნობა).

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# „მეგობრობის თასი" — ბათუმელებს

**ყოველი** წლის დასაწყისში ბათუმში ეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი „მეგობრობის თასზე", რომელსაც საქართველოს საზღვაო ნაოსნობის კომიტეტი და „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭო მესვეურობენ.

წლევანდელი ტურნირის მონაწილე 12 გუნდი დაყოფილი იყო 2 ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში 6-6 ქულა დააგროვეს ერევნისა და ფრუნზეს სპეციალიზებული სკოლების აღსაზრდელებმა, ხოლო III ადგილი და ფინალური საგზური 5 ქულით მოიპოვეს ბათუმის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა.

მეორე ქვეჯგუფში დაუმარცხებლად ითამაშეს ამ საპატიო პრიზის ორგზის მფლობელებმა — ბათუმის „დინამოს" ჭაბუკებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტაშკენტის სპორტული სკოლა და ფოთის „ვოდნიკი".

ფინალში ბათუმელებმა ფრედ ითამაშეს ფრუნზეს გუნდთან, შემდეგ კი მოუგეს თავიანთ თანაქალაქელებს — 2:0. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამო" და ერევნის გუნდი. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ნამგალაძის მიერ ბოლო წუთებზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა, აღსანიშნავია, რომ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი დარტყმა.

III ადგილისთვის ბრძოლაში ფოთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ფრუნზელთა კოლექტივი.

ტურნირზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. მათი მფლობელები გახდნენ ვ. ჭიპაშვილი, ა. იაკოვლევი („დინამო", ბათუმი), ე. ბოზოიანი, ს. სიმონიანი (ერევანი) და გ. თოფურია (ფოთი).

ბათუმის დინამოელთა წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით გუნდის მწვრთნელებს გ. მჟავიას და ლ. ვერულიძეს.

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი საკ. კორ.).**

• • •

**სურათზე:** „მეგობრობის თასის" მფლობელი — ბათუმის დინამოელთა კოლექტივი.

**ნ. დევაძის ფოტო.**



**თბილისის** საწარმოო გაერთიანება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა, როგორც შრომაში, ისე ფიზკულტურასა და სპორტში. აქ სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები.

მშრომელთა აქტიური დასვენების მიზნით ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს.

ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც სპორტკლუბის სახელს ატარებს, არა მხოლოდ მშრომელთა, არამედ მათი შვილების ფიზიკური გაკაჟებისთვისაც ზრუნავს. ბავშვებში განსაკუთრებით პოპულარულია მოცურავეთა სექცია.

ამ სურათზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა სწორედ მოცურავეთა სექციის ნორჩი აღსაზრდელები აღბეჭდა. ნორჩ მოცურავეებს სპორტის ოსტატი ვ. შჩუკინიავარჯიშებს.

გაივლის ხანი და, ვინ იცის, იქნებ ეს ბიჭუნები ცნობილი მოცურავეები გახდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი დიდი მოცურავის სახელზე ფიქრობენ. ჩვენი სურვილიც ესაა.

## ჩოგბურთი

# ფინალში გავიდნენ

**თბილისში** დამთავრდა საკავშირო ზონალური შეჯიბრება ჩოგბურთში გოგონებსა და ჭაბუკებს (1960-1965 წლებში დაბადებულნი) შორის. ასპარეზობდნენ მოსკოვის, ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. თითოეულ კოლექტივში 6 სპორტსმენი იყო: სამი გოგონა და ამდენივე ჭაბუკი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ: მ. გოშაძე, ქ. პეტროსიანი, ი. მალაციძე, გ. ზამბახიძე, პ. სეხნიაშვილი და ვ. ხურდა (მწვრთნელები გ. ახალაძე და ს. თუხარელი).

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. პირველ დღეს ბელორუსიის წარმომადგენლებმა სძლიეს ტაჯიკებს (8:1), მასპინძლებმა — მოსკოველ ჩოგბურთელებს (5:3). მეორე დღეს ბელორუსმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს საქართველოს გუნდი (5:3), მოსკოველებმა — ტაჯიკეთის კოლექტივი (6:0).

მესამე, დასკვნით დღეს მოსკოვის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ბელორუსიის კოლექტივს — 5:4, საქართველოს წარმომადგენლებმა კი ითლად მოუგეს ტაჯიკეთის კოლექტივს — 9:0.

ამრიგად, სამმა გუნდმა (საქართველო, მოსკოვი, ბელორუსია) ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მაგრამ ვინაიდან ერთეული პარტიების შედეგებით უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, პირველობაც მათ დარჩათ. II ადგილი მოსკოველებს ხვდათ, III — ბელორუსიელებს, IV — ტაჯიკებს.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ საქართველოსა და მოსკოვის კოლექტივები, ხოლო შარშანდელი გამარჯვებული — ბელორუსიის გუნდი ფინალს მიღმა დარჩა. გადამწყვეტი შეხვედრები მარტის საგაზაფხულო არდადეგების დღეებში დნეპროძერჟინსკში გაიმართება.

**გ. ამირხანოვი.**

## ძიდაობა

თბილისში, ფალავანთა კლუბში ჩატარდა დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა ძიდაობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის (1959-1960 წლებში დაბადებულნი). ასპარეზობაში ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ო. გვარაძე („განთიადი", 60 კგ), გ. ნაკანი („სპარტაკი", 65), გ. გუგავა (71), გ. გაგლოშვილი (78), დ. ჯანგირაშვილი (86), მ. ბერუაშვილი (95) და გ. კობერიძე (მძიმე) (ყველა—„ბურევესტნიკი").

### ჯილდო — კიმონოები

გუნდური პირველობა ბურევესტნიკელებმა მოიპოვეს. შეჯიბრების შემდეგ გამარჯვებულ სპორტსმენებს ჯილდოდ გადაეცათ ახალი კიმონოები. მეირჩა ქალაქის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 1978 წლის პირველობაში. აქვე ერთი ნაკლიც უნდა აღვნიშნოთ — შეჯიბრება ტატამის ნაცვლად ჩვეულებრივ, მრგვალ საჭიდაო ხალიჩაზე ჩატარდა, რაც ძიუდოსთვის მიუღებელია.

**ნ. ბარჯაძე.**

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

**ჭარს** მოგვადგა საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადა. ბუნებრივია, ონელი თოხილამურეებიც ემზადებიან ამ სერიოზული ასპარეზობისთვის, თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, რომ დიდი წარმატების იმედი არა გვაქვს. შეიძლება უხერხულიც იყოს შეჯიბრების წინ პესიმისტური ტონით საუბარი, მაგრამ ისევ და ისევ საქმისადმი გულისტკივილი გვალაპარაკებს.

მართალია, ჩვენს რაიონში სპორტის ზამთრის სახეობათა დანერ-

## საქმე წინ რომ წავიდეს...

გვა-განვითარებისთვის ურიგო პირობები არ არის — ბუნებას რაჭისთვის მაღალი მთები და დათოვლილი ფერდობები უხვად უბოძებია, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ბუნებრივი პირობებით ფონს გასვლა ძნელი ყოფილა.

ორიოდე წლის წინათ „ლელოს" ფურცლებზე გაიმართა საინტერესო დისკუსია, რომელიც რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში ზამთრის სპორტის განვითარების საკითხებს მიეძღვნა. სამწუხაროდ, გაზეთის მიერ წამოჭრილმა პრობლემებმა ადგილობრივ ორგანიზაციებში სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვეს. ზემდგომი ორგანოების დახმარების გარეშე კი რაიმე წინსვლაზე ფიქრიც ზედმეტია.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენ, რაიონის სპორტის მესვეურებიც ვცოდავთ, თუმცა ისიც ცხადია, რომ ტრამპლინის ან სლალომის ტრასის მოსაწყობად ძალა არ შეგვწევს. კიდევაც რომ მოვაწყოთ, ვინ ჩაატარებს წვრთნა-ვარჯიშს? რეგულარული მეცადინეობის გარეშე ხომ შეუძლებელია სპორტსმენის აღზრდა?

იტყვიან, სათხილამურო რბოლებისთვის ტრასის გაყვანას რაღა უნდაო. გეთანხმებით, მაგრამ აქ ისევ მწვრთნელის საკითხი დგება წინა პლანზე. რაიონის სპორტსკოლას და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს სათხილამურო სპორტის ერთი ფასიანი ჯგუფიც არა აქვთ.

ჩვენთან სათხილამურო სპორტს მიმდევარი არ აკლია, რაიონულ შეჯიბრებებზეც მონაწილეთა საკმაო რაოდენობა იყრის თავს, პერსპექტიული გოგო-ბიჭებიც არიან, მაგრამ მათი დაოსტატების საშუალება არა გვაქვს, ამიტომ აღნიშნული შეჯიბრებები გამაჯანსაღებელ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე — სპორტულს.

რა უნდა გაკეთდეს, რომ ზამთრის სპორტმა ონის რაიონში მტკიცედ მოიკიდოს ფეხი?

პირველ რიგში საჭიროა სპორტული სექციების, ჯგუფების გახსნა. ლესორა ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია ონში. იქ კარგი ადგილებია, როგორც სარბოლო, ასევე სლალომის ტრასების მოსაწყობად. მალე საბაგირო გზის მშენებლობაც დამთავრდება და ისღა დაგვრჩენია სათხილამურო ბაზის აგებაზე ვიზრუნოთ. კარგი იქნება თუ ერთი 25-მეტრიანი ტრამპლინი მაინც აშენდება.

სწორედ ბაზის უქონლობის გამოა, რომ საქართველოს სპარტაკიადაზე მარტო მრბოლელები გამოგვყავს.

საქმეს სათხილამურო ინვენტარის უქონლობაც აფერხებს. მართალია, ნაკრების წევრებისთვის შემონახული გვაქვს ორი ათეული კომპლექტი, მაგრამ სხვებმა რაღა ქნან, რამდენია თხილამურებით გასეირნების, სხეულის გაკაჟების მსურველი? ზოგჯერ თხილამურებს შემოზიდავენ, სამაგრი და ჯოხები კი დაავიწყდებათ, ხან კიდევ ფეხსაცმელი არ იშოვება, საცხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთი სიტყვით, წინააღმდეგობები ბევრი გვაქვს და თუ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები, სავაჭრო ორგანიზაციები ყურადღებას არ მოგვაქცევენ, პრობლემები პრობლემებად დარჩება და საქმე წინ ვერ წავა.

**შ. კოჩალაძე,**

**ონის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

# ბალანსიდან ბალანსზე...

**უკვე** მერამდენედ შევეჭიდეთ ერწოს აღმართს, მაგრამ ამაოდ; ახალთახალი „რაფის" ახალთახალმა საბურავებმა ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი ლიპყზე და ლილოზე.

— სხვა რა გზაა, უკან უნდა გავბრუნდეთ, — უიმედოდ ჩაიქნია ხელი მძღოლმა.

— ბედი არ გინდა? მაინცდამაინც დღეს უნდა ჩამოინგრეს ეს ცა და ქვეყანა? — ეტყობა უშანგიმაც დაჰყარა ფარ-ხმალი, — კვაისის მაღაროთა სამმართველოს ხელმძღვანელობაზე რა მოგახსენოთ და, ჩვენზე ნამდვილად შეიძლება დაიწეროს ფელეტონი.

— რას ჩამოყარეთ ყურები! — სიჩუმე უკვე ალსარმა დაარღვია, — ამ აღმართს ხომ ავათავებთ და ავათავებთ, კვაისაშიც ჩავალთ, ფელეტონიც დაიწერება და სპორტდარბაზიც აშენდება. თევზი თუ გიყვარს, ფეხის დასველებაც არ უნდა გეზარებოდეს, — თან შარვლის ტოტები აიკარწახა და კაბინიდან ჩამოხტა.

ჩვენც მივყევით...

**რედაქციაში** სიგნალი მივიდა — ჯავის რაიონის კვაისის დასახლების ახალგაზრდები ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისთვის საჭირო პირობების უქონლობაზე ჩიოდნენ.

დახანებაზე არავის უფიქრია. სასწრაფოდ შეიქმნა სარეიდო ჯგუფი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ალსარ თედეევის, „განთიადის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარის უშანგი მარგიევისა და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით.

ამინდს დილიდანვე არ უჩანდა სასიკეთო პირი: ჯერ წვიმამ დაუშინა, მერე ხვავრიელი თოვლი წამოვიდა. ბუნების ჭირვეულობამ როდი შეგვაყოვნა — ოლქის სპორტკომიტეტის „რაფში" მოვკალათდით და...

... ერწოზე მანქანამ უარი გვტკიცა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა: აღმართზე ჩვენ მივეშველეთ, დაღმართზე თვითონ დაგორდა და, როგორც იქნა, კვაისის კონტურებიც გამოიკვეთა — თოვლიან ფერდობებზე შეფენილი სახლები, ვიწრო ხეობაში გაწოლილი წყალნაკლული მდინარე... აი მაღაროთა სამმართველოც.

—უცნაურია ახალგაზრდობა, რას არ მოიფიქრებს. ეს ოჯახაშენებულები ზემოდან იწყებენ წყლის ამღვრევას. არადა სავანგაშო აქ არაფერია, — წყენაშერეული ხმით დაიწყო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ჩერმენ ბიტიევმა, — აქამდე საწარმოო გეგმების შესრულებით ვიყავით დაკავებული, ახლა ცოტა ამოვისუნთქეთ და სხვა საქმეებსაც მივხ
დავთ.

— ამაში უცნაური, ჩემი აზრი
არაფერია. სპორტს მოწყურებულ
ახალგაზრდები კანონიერად მოით
ხოვენ ჰესის ყოფილი შენობ
სპორტდარბაზად გადაკეთებას. ა
ის შესახებ სამმართველოს ხელ
მძღვანელობამაც კარგად იცო
— ფიზკულტურის მეთოდისტ
თეიმურაზ ბაგაევი ის არ გამო
გა, უფროსს თეთრ კბილს რო
უჩვენებს, — ეს საკითხი დი
ხანია დღის წესრიგში დგას. მა
რამ რა გამოვიდა, ყურადღებ
არავინ გვაქცევს. რამდენი წელ
წადია ჩვენი ძალოსნები სარდა
ფში ვარჯიშობენ, მოჭიდავეებ
კულტურის სახლს არიან შეკედ
ლებული...

— მართალია, ყოფილი ჰესი
შენობა დიდი ხნის უკან განთავი
სუფლდა, მაგრამ მისი ბალანსი
დან ბალანსზე გადმოცემა საშ
ლი არ დაადგა. ბოლოს საქმეშ
პარტიის საოლქო კომიტეტი ჩავ
იეთ და მგონი გვეშველა, — საუ
ბარში მაღაროთა კომიტეტის თავ
მჯდომარე ელიოზ ჯუსოევი ჩაე
რია.

— ამის მოგვარება თუნდაც ხუ
თი წლის უკან შეიძლებოდა, მაგ
რამ... — ისევ ფიზკულტურის მე
თოდისტმა იმარჯვა.

— სამწუხაროდ, ყოფილი ჰესი
შენობის რეკონსტრუქცია მიმდი
ნარე წლის საამშენებლო გეგმე
ბში გათვალისწინებული არ არის,
— კაპიტალური მშენებლობის გა
ნყოფილების უფროსი იბრაგიმ
ცხოვრებოვიც ჩაერთო საუბარში.
— იქ კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი რომ გაკეთდეს, არც მეტი, არც ნაკლები, ოცდათხუთმეტი ათასი მანეთია საჭირო, ეს თანხა რომ გაგვაჩნდეს, საქმეს დღესვე შევუდგებოდით. თუმცა არის ერთი გამოსავალი: ფული შეიძლება კაპიტალური მშენებლობის სახსრებიდან გამოვყოთ, მაგრამ ეს უკვე დირექტორზეა დამოკიდებული.

მდგომარეობა დაიძაბა.

შვიდი წყვილი თვალი სამმართველოს დირექტორს მიაჩერდა.

ევგენი დაიკუნოვი ნელა წამოდგა:

— ამხანაგებო! ეს საქმე შეგიძლიათ დამთავრებულად ჩათვალოთ. უფრო სწორად, დღეიდან ვიწყებთ შენობის რეკონსტრუქციას. ვიმედოვნებ, წლის ბოლოსთვის ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კარგი სპორტული დარბაზი ექნებათ. შესანიშნავი ახალგაზრდები არიან!

... უკან მობრუნებულებს ერწოზე გადასვლა არ გაგვძნელებია — ფრთაშესხმულები ვიყავით. სარეიდო ჯგუფმა საბრძოლო დავალება ოპერატიულად შეასრულა.

**ე. ბერიშვილი.**

# კურსი — მასობრიობა

**რესპუბლიკის** პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ ასპინძის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ახალი ძალით გაიშალა. გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუს ასპინძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. **ცინაძესთან.**

**— რას გვეტყვით თქვენი რაიონის ფიზკულტურელთა საქმიანობის შესახებ?**

— რაიონის კოლმეურნეობებში, სკოლებში და საწარმო-დაწესებულებების პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილია 46 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც დანერგილია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ტყვიის სროლა, ქართული ჭიდაობა. ხშირად ეწყობა ღონისძიებები, რაიონის ნაკრები გუნდები ურიგოდ არ გამოდიან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში.

შარშან ორგანიზებულად ჩატარდა მოსწავლეთა XII რაიონული სპარტაკიადა. ჭადრაკში უძლიერესნი იყვნენ დამალელები, შაშში — ტოლოშელები, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში — დაბა ასპინძის მოსწავლე სპორტსმენები, მძლეოსნობაში — ოშორელები, ხოლო ტყვიის სროლაში — ხიზაბავრელები.

რაიონის მოჭადრაკეთა გუნდი, რომელიც სოფლის სპორტსმენებით დაკომპლექტდა, ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ რესპუბლიკის ზონალურ შეჯიბრებაში IV ადგილზე გავიდა 26 ქალაქსა და რაიონს შორის.

**— ალბათ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში ნაკლოვანებებიც გაქვთ.**

— მართალია, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ რაიონის ფიზკულტურელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, თითქოს ხარვეზებიც გამოსწორდა, მაგრამ მუშაობაში ხარვეზები მაინც გვაქვს. კოლექტივებში სისტემატურად არ ტარდება მეცადინეობები, ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილებზე მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობას. შარშან ფეხბურთის მინდორი მოეწყო თმოგვში, წელს ნავარაუდევია ასეთივე სტადიონის მოწყობა აწყვიტაში, მაგრამ ჭობარეთსა და ტოლოშში სპორტული მოედნების კეთილმოწყობის საქმე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და ამაში ბრალი რაიონის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც მიუძღვით. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან აღნიშნული სოფლების კოლმეურნეობათა გამგეობებმა და სასოფლო საბჭოებმა.

განვიცდით ინვენტარისა და ფორმის უკმარობას, რადგანაც ისინი რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში ნაკლებადაა.

**— როგორ ფიქრობთ მომავალში ამ ხარვეზების გამოსწორებას?**

„ლელო" ინტერვიუ

— დაგეგმილი გვაქვს მთელი რიგი ღონისძიებები. სოფლის ხელმძღვანელებთან ერთად გადავწყვიტეთ ფიზკულტურული კოლექტივებისთვის მარტივი ტიპის სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, მათი სპორტული ინვენტარითა და ფორმით მომარაგება. განზრახული გვაქვს ხშირად ჩავატაროთ ფიზკულტურული კადრების მოსამზადებელი თათბირ-სემინარები.

**— რა მდგომარეობაა თქვენს რაიონში ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მხრივ?**

— შარშან გეგმით გათვალისწინებული 900 ნიშნოსნის ნაცვლად მომზადდა 950.

ბოლო დროს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშდ მრავალჭიდს. ვმონაწილეობთ მრავალჭიდელთა ზონალურ პირველობებში. წარმატებებისთვის დაჯილდოებული ვართ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ალმით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დიპლომებით. ნაკლი აქაც გვაქვს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ გვაკლია საცურაო აუზი და კეთილმოწყობილი ტირი. ამ ხარვეზების გამოსწორებაში ზემდგომი ორგანოების ქმედითი და დროული დახმარებაც გვჭირდება.





**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა სტადიონის სპორტული ბაზები, კვლავ ახმიანდა ტრიბუნების ქვეშ მოთავსებული სპორტთამაშების, ჭიდაობის, ფარიკაობის, კრივის, კალათბურთის დარბაზები, მათ შორის ძალოსნობის დარბაზიც.

სტადიონის რეკონსტრუქციამ, რა თქმა უნდა, დროებით შეანელა სპორტსმენთა ინტენსიური წვრთნა. უჭირდათ ძალოსნებსაც. თუმცა, დღეისთვის ყველაფერი კალაპოტ-

# ტრადიცია უნდა აღდგეს

ში ჩადგა. იმედია, მონდომებული შრომით დინამოელი ძალოსნები თავიანთ მდიდარ ტრადიციებს კვლავ აღადგენენ, ამისათვის კი „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო და სპორტკომბინატ „დინამოს" ხელმძღვანელობა ყველა ღონეს იხმარს.

„დინამო" დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივია. აქ აღიზარდნენ ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. ჩიმიშკიანი, სსრ კავშირის ჩემპიონები მ. ქუენტი, ხ. ხანუკაშვილი, მ. კასიანიკი და სხვები. ახლა ძალოსნები გამოცდილი მწვრთნელების, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების სპორტის ოსტატების ქ. ებრალიძისა და უ. ჭირაქაძის ხელმძღვანელობით გაცხოველებით ემზადებიან მომავალი სტარტებისთვის. სექცია ძირითადად დაკომპლექტებულია მოსწავლე-ახალგაზრდობით, როგორც საშუალო, ასევე პროფ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებით, აგრეთვე მუშებითა და სტუდენტებით. მათ შორის უკვე გამოჩნდნენ იმედისმომცემი ძალოსნებიც: რ. პატარკაციშვილი, ა. წიკლაური, ე. მესხი, ბ. დოლიძე, გ. სირაძე, თ. დიადიევი, გ. ბასონოვი და სხვები.

**გ. დოლენჯაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** მორიგ მეცადინეობას ატარებენ მწვრთნელები ქ. ებრალიძე და უ. ჭირაქაძე.

ავტორის ფოტოები.

**ჯანმრთელი სხეულით**

**✦ ყვარელი**

მესამე წელია ტრადიციულად იმართება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის სახელობის თასის სარაიონო გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ამჯერად ტურნირში მონაწილეობენ 1963-64 წლებში დაბადებული ბავშვები.

ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ყვარლის 1-ლი და მე-2 სკოლების გუნდებმა. დამატებითი მატჩი მოიგეს პირველსკოლელებმა (2:0), რომლებიც დაეუფლნენ კიდეც თასს.

სპეციალური პრიზები გადაეცათ დ. ბაიდოშვილს, ა. ბასოშვილს, ბ. მოსიაშვილს და პ. ლაკოევს.

**რ. მეტრეველი.**

**✦ სიღნაღი**

სამ თვეს გაგრძელდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ვაჭრობის მუშაკთა სპარტაკიადა, სადაც გუნდური პირველობა კასპელმა კოოპერატორებმა მოიგეს. II ადგილი აფხაზეთის წარმომადგენლებს ხვდათ, III — ყვარლის გუნდს.

**თ. კახელიშვილი.**

(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა





როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოს" ოსტატმა ფეხბურთელებმა თავიანთ ბაზაზე დიღომში დაიწყეს წინასასეზონო ვარჯიში.

სურათებზე: რ. ჩელებაძე ბურთით ვარჯიშის დროს: მარჯვნივ — დინამოელები წვრთნის სხვადასხვა მომენტებში დიღმის სტადიონზე.

მ. დათიკაშვილის ფოტო.
(საქინფორმი).



# ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე

**ბაკურიანში** დაიწყო „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზამთრის სპარტაკიადა. ასპარეზობის მიზანია საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადებისთვის ძალების შემოწმება. სამწუხაროდ, ტურნირმა ცხადყო, რომ ამ საზოგადოების მოთხილამურეებს სასიქადულო ბევრი არაფერი აქვთ — შედეგები საკმაოდ დაბალი გამოდგა.

სტარტზე პირველად მორბენლები გამოვიდნენ. ქალთა შორის 5 კილომეტრზე ასპარეზობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა გარდაბნელმა სპორტის ოსტატმა, ნ. ბაღაშვილმა მთელი ძალით როდი ირბინა და მაინც ფინიშთან პირველი მივიდა — 19.55. ბოგდანოვკელმა მ. კალმიკოვამ მასთან ზუსტად ხუთი წუთი წააგო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ „კოლმეურნეს" საკავშირო სპარტაკიადაზე მხოლოდ ბაღაშვილის გამოყვანა თუ შეუძლია.

მეორე დღეს 10 კილომეტრზე რბენაში არ მონაწილეობდა ბაღაშვილი, რამაც კალმიკოვას საშუალება მისცა პირველობა მოეგო — 40.33. II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ლ. გუბანოვა — 45.58.

ვაჟთა შორის ანალოგიური სურათი განმეორდა: ბორჯომის გუნდის წევრმა ლ. ხოლოიანმა 15 კილომეტრზე რბენა იოლად მოიგო — (47.40), მეორე დღეს კი 30 კილომეტრზე მესტიელ გ. გულბანს სამწუხაროთ ნახევრით აჯობა — 1.39,17, რის შემდეგ ბორჯომის რაიონის პირველობაში 5 კილომეტრზე ისპარეზა და აქაც წარმატებით.

სათხილამურო რბოლებში 714 ქულით ბოგდანოვკის კოლექტივმა იმარჯვა. მომდევნო ადგილებზეა ცაგერის ნაკრები — 443 და ახალქალაქის „კოლმეურნის" გუნდი — 370.

თუ რბოლებში შეჯიბრება მასობრივი იყო, სამთო-მოთხილამურეთა ასპარეზობაზე ამას ვერ ვიტყვით. სპეციალური სლალომის ისედაც პატარა (150-მეტრიან) დისტანციაზე ათიოდე კაცმა შეძლო გამოსვლა. I და II ადგილი მესტიელებმა — ე. ჯაფარიძემ (52,1) და ო. ვეზდენმა (52,4) მოიგეს. ბორჯომელი გ. გვარამაძე III ადგილს დასჯერდა — 54,2.

შეჯიბრება გრძელდება.

# ცსკა ემზადება



**საბჭოთა** არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელები სეზონისთვის სამზადისს დეკემბრის ბოლოს შეუდგნენ. როგორც ეს ზამთრის პერიოდშია მიღებული, სამეცადინო პროგრამაში იყო თხილამურები, ჰოკეი, კროსები.

იანვარში უფრო მეტი ყურადღება მიექცა საერთო ფიზიკურ მომზადებას, პროგრამაში ჩართეს ცურვა, სიმძიმეების აწევა, მატჩები თოვლიან მინდორზე.

— ჩვენ გულდასმით გავაანალიზეთ შარშანდელი წარუმატებლობანი, — თქვა ცსკა-ს უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბობროვმა, — და გავითვალისწინეთ ყველა ნაკლოვანება. შემადგენლობა ფაქტიურად უცვლელია, მხოლოდ თავდამსხმელმა ბ. კოპეიკინმა დაანება თავი თამაშს.

ვ. ბობროვს ეხმარებიან გუნდის უფროსი ვ. სმირნოვი, მეორე მწვრთნელი ვ. აგაპოვი, აგრეთვე, ვ. კაპლიჩნი და ი. პშენიჩნიკოვი, რომლებსაც ფეხბურთის მოყვარულნი კარგად იცნობენ.

თებერვალში არმიელები შეუდგებიან სპეციალურ ვარჯიშს, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტექნიკურ და ტაქტიკურ მზადებას. შემდეგ გუნდი ჩაატარებს რამდენიმე შეხვედრას, სადაც დადგინდება ძირითადი შემადგენლობა.

# სახურავის ქვეშ, „ბალახზე"

**ყოველკვირეული** გამოშვება „ნედელიას" საკავშირო ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში გახსნეს ტაშკენტის „ფახთაქორმა" და ჩეხოსლოვაკიელმა სტუმრებმა — პრაღის „ბოჰემიანსმა". ტურნირმა სახე შეიცვალა: გუნდები მინი-ფეხბურთს თამაშობენ არა ლუჟნიკის პატარა მინდორზე, არამედ სინთეტიკურ ბალახზე, ნორმალური ზომის მინდორზე, სოკოლნიკის სპორტული თამაშების სასახლეში.

ამრიგად, 16 იანვარს პირველი მატჩი ჩაატარეს „ფახთაქორმა" და „ბოჰემიანსმა". სტუმრების კარში ფიოდოროვის მიერ გატანილმა ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ტაშკენტელებს — 2:1 (პრაღელთაგან თავი გამოიჩინა კლოუჩეკმა).

ამ ქვეჯგუფში გამოდიან კიდევ ცსკა და „ტორპედო", ხოლო პარალელურ ქვეჯგუფში — „ქაირათი", მოსკოვის „სპარტაკი", მოსკოვის „ლოკომოტივი" და „ჩერნომორეცი". მატჩები ქვეჯგუფებში ჩატარდება ერთ წრედ, შემდეგ კი 8 ადგილი გაირკვევა გადამწყვეტ შეხვედრებში. მეორე მატჩი შედგა „ტორპედოსა და ცსკა-ს შორის. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 2:0. გოლები გაიტანეს ნოვიკოვმა, რომელიც „ტორპედოში" „ქაირათიდან" გადავიდა და ბუტურლაკინმა.

**ზამთრის** საკავშირო საფეხბურთო ტურნირმა სტარტი აიღო ლენინგრადის სპორტული თამაშების სასახლეშიც. პირველ დღეს კიევის „დინამომ" მოუგო ბაქოს „ნეფთჩის" — 2:0, ხოლო დონეცკის „შახტიორმა" და ლენინგრადის „დინამომ" ფრედ ითამაშეს — 2:2.

# რა დაემართა „ბაიერნს"

**ლონდონი.** როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბონიდან იტყობინება „სადაც არ უნდა შეიკრიბონ გფრ-ის ფეხბურთის გულშემატკივრები, საუბრობენ იმაზე, თუ რა მოსდის ცნობილ გუნდ „ბაიერნს" (მიუნხენი).

„ბაიერნი", რომელიც ოდესღაც მსოფლიოს უძლიერეს გუნდად ითვლებოდა, ზედიზედ სამი წელი ევროპის საუკეთესო გუნდი იყო და მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი, ამჟამად კრიზისს განიცდის.

ბევრმა დამარცხებამ გუნდი ბუნდესლიგის დატოვების საშიშროების წინაშე დააყენა. უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში „ბაიერნის" მარცხი თითქმის იმას ნიშნავს, რომ მიუნხენელი ფეხბურთელები 10 წლის განმავლობაში პირველად არ მიიღებენ მონაწილეობას ევროპის კლუბების ტურნირებში.

„ჩვენთვის ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა, — თქვა „ბაიერნის" თავდამსხმელმა უ. ჰოონესმა. ერთ-ერთმა იმ მოთამაშეთაგან, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს 70-იან წლებში გუნდის წარმატებაში. სხვა კლუბები მიჩვეული არიან სახიფათო ზონაში ყოფნას. ძნელია შევეგუო იმ აზრს, რომ ამჟამად ჩვენ ვთამაშობთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ დავკარგოთ ადგილი დიდ ფეხბურთში".

ახლახან კლუბი დაემშვიდობა თავის მწვრთნელს დ. კრამერს, რომელსაც ბოლო დროს „ბაიერნის" სუსტ თამაშს აბრალებენ. „ბაიერნის" ოფიციალურმა წარმომადგენლებმა რამდენიმე უიღბლოდ დამთავრებული ცდის — მოეძებნათ 52 წლის კრამერის შემცვლელი ადგილობრივ და საზღვარგარეთის სპეციალისტებს შორის — შემდეგ გამოაცხადეს, რომ კრამერი ადგილს გაუცვლის „აინტრაჰტის" მწვრთნელს დ. ლორანტს. ორივე გუნდის მოთამაშეებს ეეჭვებათ ამ გადაწყვეტილების სისწორე, მაგრამ ლორანტმა არ დაუცადა მიეღო უფლება „აინტრაჰტის" დირექტორთა საბჭოსგან, მოულოდნელად გამოცხადდა მიუნხენში და მაშინვე შეუდგა მუშაობას. კრამერმა კი „აინტრაჰტში" დაიწყო მოღვაწეობა.

გაზეთებსა და ჟურნალებს უამრავი წერილი მოსდით „ბაიერნის" გულშემატკივრებისაგან, რომლებიც თავისებურად ხსნიან გუნდის საბედისწერო მდგომარეობას: ახალი მოთამაშეების მიზანშეუწონელი „ყიდვა", გუნდის კაპიტნის ფრანც ბეკენბაუერის ნიუ იორკის „კოსმოსში" გადასვლა, ფეხბურთელთა მრავალრიცხოვანი ტრავმები და, აგრეთვე, უდისციპლინობა, რომელმაც ეს კლუბი იქამდე მიიყვანა, რომ ბუნდესლიგის ნებისმიერ გუნდთან შედარებით მის მოთამაშეებს წესის დარღვევის გამო ყველაზე მეტი ოფიციალური გაფრთხილება აქვთ მიღებული.

გასულ სეზონში „ბაიერნმა" დიდი თანხა გაიღო ახალ მოთამაშეთა შესაძენად. „ძველი გვარდიის" წარმომადგენლებს — მეკარე ზ. მაიერსა და ცნობილ თავდამსხმელს გ. მიულერს დააწვათ მხრებზე ძირითადი დატვირთვა, მაგრამ რა შეუძლია ორ ფეხბურთელს?

ამ ცნობილი გუნდის სერიოზულ დაქვეითებაზე მეტყველებს მისი მოთამაშეების წარმომადგენლობა ნაკრებში. როცა 1972 წელს გფრ-ის ნაკრებმა მოიგო ევროპის ჩემპიონატი, ხოლო ორი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ეროვნულ ნაკრებში „ბაიერნის" 6 მოთამაშე იყო. 1977 წლის ნოემბერში კი, როცა გფრ-ის ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა შვეიცარიის გუნდს, მის შემადგენლობაში არ იყო არც ერთი ფეხბურთელი მიუნხენიდან. (საკდესი).

# პირველი ჩემპიონატი

**მოსწავლეთა** ზამთრის არდადეგების დღეებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სათხილამურო სპორტულმა სკოლამ ბაკურიანში გამართა თავისი პირველი ღია ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ნორჩები ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ. გათამაშდა პირველობები, როგორც ასაკის მიხედვით, ისე საერთო ჩათვლაში.

გიგანტურ სლალომში (ტრასის სიგრძე 800 მ, სიმაღლეთა სხვაობა 232 მ, 28 კარი) 1966-68 წლებში დაბადებულ ბიჭებს შორის იმარჯვა გ. ორჯონიკიძემ — 58,04, გოგონებში — ქ. ნემსაძემ 1.20,0. 1964-65 წლებში დაბადებულთა შორის უძლიერესი იყვნენ სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ჯ. ფხაკაძე — 53,04 და ქ. მესხიშვილი — 59,0, ხოლო 1962-63 წლიანთა ჯგუფში ბიჭებში ყველას აჯობა ი. შუბაშვილმა — 54,0.

ყველაზე პატარები, 8-9 წლის მოზარდები შემცირებულ ტრასაზე ასპარეზობდნენ. ბიჭებში ყველაზე სწრაფი გამოდგა ლ. ბოკერია, გოგონებში — თ. გეგუჩაძე.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში (420 მ, 126 მ, 37 კარი). აქ ასაკის მიხედვით უძლიერესნი იყვნენ: ვაჟთა შორის — გ. ხაზარაძე — 1.13,01, ჯ. ფხაკაძე — 1.01,06, ი. შუბაშვილი — 1.09,0. გოგონებში — ნ. მესხიშვილი — 1.33,04 და ნ. ვარდიაშვილი — 1.22,1. შემცირებულ დისტანციაზე პირველობა მოიგეს დ. ხაზარაძემ და თ. გეგუჩაძემ.

აბსოლუტურ პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გიგანტური სლალომი. ბიჭები.** ჯ. ფხაკაძე — 53,04, ი. შუბაშვილი — 54,0, გ. ორჯონიკიძე — 58,04. **გოგონები.** ქ. მესხიშვილი — 59,0, ნ. ვარდიაშვილი — 1.03,0, ქ. ბოკერია — 1.17,02. **სპეციალური სლალომი. ბიჭები.** ჯ. ფხაკაძე — 1.01,06, ი. შუბაშვილი — 1.09,0, გ. დევდარიანი — 1.13,01. **გოგონები.** ნ. ვარდიაშვილი — 1.22,01, ი. ხოშოლავა — 1.31,05, ნ. მესხიშვილი — 1.33,04.

შედგა სკოლის ნაკრები, რომელიც მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

მ. ზაქარეიშვილი.

# კრუიფის გადაწყვეტილება ურყევია

— **მე ძალზე** აღელვებული ვარ იმ მრავალი წერილით, რომლებსაც სამშობლოდან ვღებულობ იმის თაობაზე, რომ დავთანხმდე ვითამაშო ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში, — განაცხადა ი. კრუიფმა. — მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. ნაკრებში ველარ ვითამაშებ.

ამას წინათ ი. კრუიფს ბარსელონაში ეწვია ჰოლანდიელ გულშემატკივართა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში 250 გულშემატკივარი იყო. თხოვნა ერთია: ოსტატი უნდა დაუბრუნდეს ნაკრებს.



# გრაციის სპორტის იუბილე

**სოფია.** მხატვრული ტანვარჯიშის ბევრი თაყვანისმცემელი ესტუმრა სოფიის დარბაზ „უნივერსიადას", სადაც საზეიმოდ აღნიშნეს ბულგარეთში სპორტის ამ სახეობის დანერგვის 25-ე წლისთავი. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ბულგარეთის მხატვრულმა ტანვარჯიშმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ბულგარელმა ტანმოვარჯიშეებმა მსოფლიო ჩემპიონატებში მოიპოვეს 11 ოქროს, 10 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი. ბულგარეთმა უმასპინძლა მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატს, მოაწყო „ინტერვიზიის" ტურნირი, შეჯიბრება „ოქროს რგოლი" და სხვ. ამჟამად რესპუბლიკაში მხატვრულ ტანვარჯიშში ჩაბმულია 4000 სპორტსმენი, რომელთაგან 19 სპორტის დამსახურებული ოსტატია, 170 — სპორტის ოსტატი და 262 — ოსტატობის კანდიდატი. 9 მწვრთნელს მიენიჭა დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

— ამჟამად მხატვრული ტანვარჯიშის წინაშე ახალი ამოცანები დგას: ახალგაზრდული ძალებით გააგრძელოს სვლა უმაღლესი ოსტატობისკენ, — თქვა ბულგარეთის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ჟ. შიშმანოვამ.

— საიუბილეო დღეებში, — აღნიშნა მან — მადლობას მოვახსენებთ საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც დიდად დაგვეხმარნენ ბულგარეთში მხატვრული ტანვარჯიშის განვითარების საქმეში. სხვათა შორის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს მ. გიგოვას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ჩვენ დიდად ვაფასებთ მხატვრული ტანვარჯიშის საბჭოთა სკოლას, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია.

(საკდესი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

უმაღლესი ლიგა

# 8 უძლიერესი გუნდის თამაშების კალენდარი

25. იანვარი. ვეფ-ი (რიგა) — „კალევი" (ტალინი).

28 იანვარი. „დინამო" (მოსკოვი) — ვეფ-ი (რიგა).

29 იანვარი. ცსკა — „დინამო" (თბილისი), „კალევი" (ტალინი) — „სტროიტელი" (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

31 იანვარი. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — ვეფ-ი (რიგა).

1 თებერვალი. ცსკა — „სტროიტელი" (კიევი), „კალევი" (ტალინი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

3 თებერვალი. „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (კიევი).

4 თებერვალი. „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

5 თებერვალი. ცსკა — „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „კალევი" (ტალინი).

7 თებერვალი. „სტროიტელი" (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), „დინამო" (თბილისი) — ვეფ-ი (რიგა).

8 თებერვალი. „კალევი" (ტალინი) — ცსკა, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი).

10 თებერვალი. „სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (თბილისი), ვეფ-ი (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი), „კალევი" (ტალინი) — „დინამო" (მოსკოვი).

11 თებერვალი. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა.

13 თებერვალი. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი), „სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი).

14 თებერვალი. „ჟალგირისი" (კაუნასი) — „კალევი" (ტალინი).

15 თებერვალი. ცსკა — ვეფ-ი (რიგა).

17 თებერვალი. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (თბილისი).

18 თებერვალი. „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა, „კალევი" (ტალინი) — ვეფ-ი (რიგა).

20 თებერვალი. „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

21 თებერვალი. „სტროიტელი" (კიევი) — ვეფ-ი (რიგა).

23 თებერვალი. „სტროიტელი" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა.

24 თებერვალი. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი).

25 თებერვალი. „სტროიტელი" (კიევი) — „კალევი" (ტალინი).

26 თებერვალი. ვეფ-ი (რიგა) — ცსკა.

28 თებერვალი. „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (მოსკოვი), ვეფ-ი (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

1 მარტი. ცსკა — „კალევი" (ტალინი).

3 მარტი. ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი), ვეფ-ი (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სტროიტელი" (კიევი).

4 მარტი. „დინამო" (თბილისი) „კალევი" (ტალინი).

6 მარტი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), ვეფ-ი (რიგა) — „სტროიტელი" (კიევი).

7 მარტი. „დინამო" (თბილისი) — ცსკა.

8 მარტი. „კალევი" (ტალინი) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

10 მარტი. „სტროიტელი" (კიევი) — ცსკა.

11 მარტი. „დინამო" (მოსკოვი) — „კალევი" (ტალინი), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), ვეფ-ი (რიგა) — „დინამო" (თბილისი).

14 მარტი. ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ვეფ-ი (რიგა), „კალევი" (ტალინი) — „დინამო" (თბილისი).

## მხიარული ფანქრით

●

ნ. ქილეხსაშვილის ნახატები.

●



„რაციონალიზატორი"



ფსიტყვოდ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**იუპის სააგენტოს გამოკითხვის შედეგად შარშანდელი წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია ოლიმპიური ჩემპიონი როზემარი აკერმანი (გდრ), რომელმაც ქალთა შორის პირველმა გადალახა ორმეტრიანი სიმაღლე. სურათზე თქვენ ხედავთ რ. აკერმანს ასპარეზობისას.**

### მოკლე საინფორმაციო ცნობები

## ჩემპიონის გამოსათხოვარი წრე

**ბერლინი.** გდრ-ის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები ტაშს უკრავდა მსოფლიო ჩემპიონს იურგენ გეშკეს, რომელიც ველოსპორტში ზამთრის სეზონის გახსნის დღეს ვერნერ-ზეელენბინდერ-ჰალეს სპორტის სასახლის ტრეკზე გამოსათხოვარ საპატიო წრეს უვლიდა.

ველოსპორტის მოყვარულებმა მწვრთნელის სამუშაოზე გააცილეს 34 წლის სპორტსმენი, რომელმაც ოთხი თვის წინათ სან-კრისტობალში (ვენესუელა) მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა სპრინტში.

## საციგურაო — ბელგრადელებს

**ბელგრადი.** წლეულს იუგოსლავიის დედაქალაქის მცხოვრებნი მიიღებენ ახალ სპორტულ ნაგებობას — დახურულ ხელოვნურ საციგურაოს, სადაც მარტში იასპარეზებენ „ბ" ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჰოკეისტები.

ბელგრადი სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებსაც უმასპინძლებს. მაისში ტყავის ხელთათმანის უძლიერესი ოსტატები მოსინჯავენ ძალებს მეორე მსოფლიო პირველობაში, ხოლო ზაფხულში სავის ტბაზე სტარტს აიღებენ ნიჩბოსნები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში.

**ბაქოში** გრძელდება ფრენბურთელ ქალთა გუნდების მე-40 საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური.

შეჯიბრების მეორე დღეს გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა: მოსკოვის „დინამომ" იოლად დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი" — 3:0, სვერდლოვსკის „ურალოჩკამ" სძლია ასპარეზობის დებიუტანტს მოსკოვის ოლქის მოპის — 3:1, ხოლო ვოროშილოვგრადის „ისკრამ" უდიდესი ნებისყოფის ფასად მოუგო მოსკოველ არმიელებს. ვოროშილოვგრადელებმა წააგეს პირველი ორი პარტია და მესამესაც აგებდნენ — 2:8. მაგრამ შეძლეს უიმედოდ წაგებული მატჩის მოგება — 3:2. ახლა გამარჯვებულ გუნდებს 7-7 ქულა აქვთ და ჩემპიონატს ლიდერობენ.

## ფრენბურთი

მეორე დღის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა. სკიფი (კიევი) — „ავრორა" (რიგა), 3:0, „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) — „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) 3:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:1.

გუშინ ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო.

## მძლეოსნობა

**ავსტრალიაში** შუა ზაფხულია. ოლიმპიადა 56-ის დედაქალაქ მელბურნში გამართული მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებმა კვლავ მაღალი შედეგები მოიპოვეს: 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა იამაიკელმა დ. ქვორიმ მოიგო არა მარტო თავისი ძირითადი დისტანცია (20,5), არამედ 100 მეტრზე რბენაშიც პირველი იყო — 10,4.

ქალთა შორის სპრინტში ყველას აჯობა ასევე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. რიხტერმა (გფრ) — 11,3. მასპინძელმა რ. ბოილმა იმარჯვა 200 მეტრზე 23,1. 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი ი. შევინსკა (პოლონეთი) მას 0,8 წამით ჩამორჩა და III ადგილი დაიკავა.

## თხილამურები

**მსოფლიო** თასის გათამაშების პროგრამით ვაჟებს მორიგი სტარტი შვეიცარიის სოფელ ვენგელის მიდამოებში უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ძლიერი ქარის გამო სწრაფდაშვებაში შეჯიბრების ჩატარება არ მოხერხდა. უკეთესი ამინდის მოლოდინში აქ გაიმართა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარით გათვალისწინებული სლალომის ტრასაზე პარალელური დაშვება.

საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველ დიდ წარმატებას მიაღწია ვ. ანდრეევმა (მოსკოვის ოლქი), რომელმაც ზედიზედ მოუგო მასპინძელ ვ. ტრეშს, შემდეგ ფრანგ პ. ფინეტს, მეოთხედფინალში სძლია იუგოსლაველ ბ. კრიჟაის, ხოლო ნახევარფინალში ნორვეგიელი ო. სორლი დაამარცხა.

ფინალში მისი მეტოქე იყო ცნობილი შვეიცარიელი მ. დონეტი. ანდრეევმა მეტოქესთან ორი დაშვების ჯამში 0,3 წამი წააგო და მეორე ადგილი დაიკავა.

## იმედიანი პირველი წელი

**პრაღა.** ჩვენი მიზანია მოსკოვისა და ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადებში უკეთ ვიასპარეზოთ, ვიდრე 1976 წლის თამაშებში. ამისთვის შევიმუშავეთ ოლიმპიადებს შორის მთელი ოთხი წლის დეტალური გეგმა, — თქვა ფიზკულტურის ჩეხოსლოვაკიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რ. დუშეკმა.

ოლიმპიადისშემდგომი პირველი წლის შედეგები იმედს გვისახავს. 9 მსოფლიო და ევროპის 13 ჩემპიონატებში ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა 6 ოქროს, 4 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. დიდ წარმატებებს მიაღწიეს მ. როლკომ (ცურვა), ვ. მახამ (კლასიკური ჭიდაობა). ი. ტაბაკმა (სპორტული ტანვარჯიში), ჰ. ფიბინგეროვამ (ბირთვის კვრა), ი. ნიგრინოვამ (სიგრძეზე ხტომა), ი. პლახიმ (800 და 1500 მეტრზე რბენა), ნიჩბოსნებმა, კალათბურთელებმა, ჰოკეისტებმა.

ჩვენი სპორტსმენების წინსვლას დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო კლასის ოსტატთა მომზადების სწორმა სისტემამ.

წლეულს ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოსა და ევროპის ბევრ ჩემპიონატში. 4 ასეთი შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდება: ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობა (26 აპრილი — 14 მაისი, პრაღა), ევროპის ჩემპიონატები ძალოსნობაში (10-18 ივნისი, გავირჟოვი) და მძლეოსნობაში (28 აგვისტო — 3 სექტემბერი), მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთელ ქალთა შორის (1-10 დეკემბერი). (საკდესი).

# მომავალ ჩემპიონატებზე...

**ჰელსინკი.** 4-5 მარტს ფინეთის დედაქალაქის ხელოვნურსაფარიან საციგურაოზე გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში ქალთა შორის. აქ სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე სპორტსმენი მოიყრის თავს. სსრ კავშირს, ჰოლანდიას, კანადას, შვეციას, აშშ-ს, იაპონიას, ნორვეგიასა და ფინეთს უფლება აქვთ ჩემპიონატში რამდენიმე მოციგურავე გააგზავნონ. სსრ კავშირის ნაკრებში ოთხი სპორტსმენი იქნება.

**პრაღა.** წლეულს ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ჩეხოსლოვაკიაში 30 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე. წილისყრის შედეგად გოტვალდოვოში „ა" ჯგუფში იასპარეზებენ გდრ-ის, იუგოსლავიის, რუმინეთის ნაკრებები და აზიის საუკეთესო გუნდი, ტრნავაში კი „ბ" ჯგუფში — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის ნაკრებები და აფრიკის საუკეთესო კოლექტივები. ზვზში „ვ" ჯგუფში — უნგრეთის, პოლონეთის, გფრ-ის ნაკრებები და ამერიკის საუკეთესო გუნდი (აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში შესარჩევი მატჩები მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დამთავრდება). ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი უძლიერესი გუნდები ბრატისლავაში გაითამაშებენ I-VI ადგილებს (საკდესი).

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქალაქის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

7 ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07631